

ამოცანები, რომლებიც 2 ბალით ფასდება

1) რომელია მეტი და რამდენით, კუბის წიბოების რაოდენობა, თუ კუბის წვეროების რაოდენობა?

- 1) წვეროები 2-ით 2) წიბოები 2-ით 3) წვეროები 4-ით **4) წიბოები 4-ით**

2) რომელი ორნიშნა რიცხვია ისეთი, რომლის ციფრთა ნამრავლი უდიდესი ერთნიშნა რიცხვია, ხოლო ათეულების თანრიგში მდგომი ციფრი, ერთეულების თანრიგში მდგომ ციფრზე ცხრაჯერ მეტია?

- 1) 19 2) 33 3) 90 **4) 91**

3) რამდენნიშნა რიცხვია ათი მილიარდისა და ასი მილიონის სხვაობა?

- 1) ორნიშნა 2) ცხრანიშნა **3) ათნიშნა** 4) თერთმეტნიშნა

4) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი რიცხვია თავის ციფრთა ჯამზე 37-ჯერ მეტი?

- 1) 998 2) 996 3) 978 **4) 888**

5) რამდენი წუთია ერთი საათის $\frac{2}{5}$ ნაწილი?

- 1) 20 წთ **2) 24 წთ** 3) 40 წთ 4) 44 წთ

ამოცანები, რომლებიც 3 ბალით ფასდება

6) სამი ერთმანეთისგან განსხვავებული ნატურალური რიცხვის ჯამია 7. რას უდრის ამ სამი რიცხვიდან უდიდესისა და უმცირესის სხვაობა?

- 1) სამს** 2) ოთხს 3) ხუთს 4) შვიდს

7) ქვემოთ მოცემული, რამდენი ტოლობაა მცდარი?

$2\frac{5}{10}$ კგ = 225 გ $\frac{1}{10}$ სთ = 10 წთ $1\text{ მ} = \frac{1}{1000}$ კმ 7 დმ 4 სმ = 740 მმ

- 1) ერთი **2) ორი** 3) სამი 4) ოთხი

8) ქვემოთ მოცემული, რომელი ტოლობაა მცდარი?

- 1) 2 კმ 7 მ 50 დმ = 2012 მ 2) 3 ლარი 5 თეთრი = 305 თეთრი
3) 9 ტ 27 კგ = 927 კგ 4) 7 მ 9 მმ = 7009 მმ

9) ზურამ ფინიშამდე დისტანცია 9 წუთსა და 35 წამში გაირბინა, ირაკლიმ კი - 8 წუთსა და 15 წამში. რომელმა ბიჭმა, რამდენი წამით ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი? (გაითვალისწინეთ, რომ ბიჭები სირბილს ერთდროულად იწყებენ).

1) ზურამ - 80 წამით

2) ზურამ - 50 წამით

3) ირაკლიმ - 80 წამით

4) ირაკლიმ - 50 წამით

10) რომელია ის უმცირესი სამნიშნა რიცხვი, რომლის 9-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი 4-ზე მეტია?

1) 100

2) 103

3) 104

4) 107

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება



11) როგორ შეიცვლება განაყოფი, თუ გასაყოფს ორჯერ შევამცირებთ, გამყოფს კი ოთხჯერ შევამცირებთ?

1) შემცირდება 2-ჯერ

2) გაიზრდება 2-ჯერ

3) შემცირდება 8-ჯერ

4) გაიზრდება 8-ჯერ

12) მაღაზიაში გასაყიდად მიიტანეს ორი ჯიშის ყურძენი: რქაწითელი და საფერავი. რქაწითელი სამჯერ მეტი იყო, ვიდრე საფერავი. პირველ დღეს გაიყიდა 125 კილოგრამი საფერავი და სამჯერ მეტი რქაწითელი. რამდენი კილოგრამი რქაწითელი დარჩა მაღაზიაში გასაყიდი, თუ საფერავი დარჩა - 85 კილოგრამი?

1) 85 კგ

2) 255 კგ

3) 265 კგ

4) 355 კგ

13) ნატალიმ მაღაზიაში დახარჯა მთელი თავისი თანხის ნახევარი. მას რომ დაეხარჯა 180 ლარი, დარჩებოდა 224 ლარი. რამდენი ლარი დარჩება ნატალის, თუ ის დარჩენილი თანხის კიდევ ნახევარს დახარჯავს?

1) 112 ლარი

2) 90 ლარი

3) 202 ლარი

4) 101 ლარი

14) როგორ შეიცვლება სამნიშნა რიცხვი, თუ ათეულების თანრიგში მდგომ რიცხვს გავზრდით 3-ით, ერთეულების თანრიგში მდგომ რიცხვს გავზრდით 5-ით, ხოლო ასეულების თანრიგში მდგომ რიცხვს შევამცირებთ 1-ით?

1) გაიზრდებოდა 65-ით

2) შემცირდებოდა 65-ით

3) გაიზრდებოდა 75-ით

4) შემცირდებოდა 75-ით

15) რომელ თანრიგამდე უნდა დავამრგვალოთ 12485, რომ მიღებული რიცხვი უნაშთოდ გაიყოს სამზე?

1) ათეულებამდე

2) ასეულებამდე

3) ათასეულებამდე

4) ათეულ ათასეულებამდე

ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) რამდენი რიცხვია 1-დან 100-მდე ისეთი, რომელსაც მხოლოდ სამი გამყოფი აქვს?

1) ორი

2) სამი

3) ოთხი

4) ხუთი

17) კომპიუტერი 720 ლარი ღირს, კლავიატურა 30-ჯერ იაფია კომპიუტერზე, მონიტორი კი 4-ჯერ იაფია კომპიუტერზე და კლავიატურაზე ერთად. რა ღირს კლავიატურა და მონიტორი ერთად?

- 1) 110 ლარი 2) 186 ლარი 3) 200 ლარი 4) 210 ლარი

18) რა ციფრით ბოლოვდება 62^8 ?

- 1) ორით 2) ოთხით 3) ექვსით 4) რვით

19) დედამ მარიამს და გიორგის ორი ერთნაირი ხაჭაპური დაუჭრა. მარიამს 8 ტოლ ნაჭრად, გიორგის კი – 4 ტოლ ნაჭრად. მარიამმა შეჭამა 3 ნაჭერი, გიორგიმ კი – 2. რომელს დარჩა ხაჭაპურის უფრო დიდი ნაწილი, მარიამს თუ გიორგის?

- 1) მარიამს 2) გიორგის 3) თანაბრად 4) ამის გაგება შეუძლებელია

ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება



20) ნინუცა თავის ძმა მათეზე 12 წლით უფროსია, ლანა კი 7 წლით უფროსია თავის ძმა კახაზე. ნინუცა ლანაზე უმცროსია. ვინ არის უფროსი მათე თუ კახა?

- 1) მათე 2) კახა 3) ტოლები არიან 4) ამის გაგება შეუძლებელია

21) ჩაიფიქრეს ერთნიშნა რიცხვი. ამ რიცხვს მიუმატეს 5, რის შედეგადაც მიიღეს ორნიშნა რიცხვი, რომელიც გააორმაგეს. გაორმაგების შედეგად მიღებულ რიცხვს მიუმატეს 4 და მიიღეს ისეთი რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 10-ზე. რომელი ერთნიშნა რიცხვი ჩაუფიქრებიათ?

- 1) 3 2) 6 3) 7 4) 8

22) ეზოში ხეების ორი მწკრივია. თითოეულ მწკრივში ხეები ორ-ორი მეტრითაა დაშორებული. ხეების პირველი მწკრივის სიგრძეა 12 მეტრი, ხოლო მეორე მწკრივის სიგრძეა 18 მეტრი. რამდენი ხეა ამ ორ მწკრივში ერთად?

- 1) 15 ხე 2) 16 ხე 3) 17 ხე 4) 18 ხე

23) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა რიცხვი, რომელსაც მოსწავლემ მიუმატა მასზე ერთით მეტი რიცხვი. მოსწავლის მიერ მიღებული ჯამი მასწავლებელმა გაყო 3-ზე და მიიღო 15. რა რიცხვი დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?

- 1) ორი 2) სამი 3) ოცდაორი 4) ოცდასამი

ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება



24) 1 კილოგრამი მსხალი და 2 კილოგრამი ვაშლი 7 ლარი ღირს. გვეყოფა თუ არა 20 ლარი 4 კილოგრამი მსხლისა და 4 კილოგრამი ვაშლის საყიდლად, თუ ერთი კილოგრამი მსხალი ორჯერ ძვირია, ვიდრე ერთი კილოგრამი ვაშლი?

- 1) გვეყოფა და დაგერჩება 2) არ გვეყოფა
3) თანხა გვეყოფა ზუსტად 4) ამის გაგება შეუძლებელია

25) თომა ორ წუთში 480 ნაბიჯს დგამს, მათე კი ორ წუთში 360 ნაბიჯს დგამს. მათ ერთი და იგივე ადგილიდან ერთი და იგივე მიმართულებით დაიწყეს მოძრაობა. რამდენი წამის შემდეგ გაასწრებს თომა მათეს 1 ნაბიჯით?

- 1) 10 წამის შემდეგ 2) 5 წამის შემდეგ 3) 4 წამის შემდეგ 4) 1 წამის შემდეგ

26) თუ შორენა ერთ ნაყინს იყიდის, მაშინ მას დარჩება 5 ლარი, ხოლო თუ იგივე ნაყინს ავთო იყიდის, მაშინ მას დარჩება 4 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ შორენა და ავთო თავიანთ თანხებს შეაერთებენ, მაშინ ისინი სამი ასეთივე ნაყინის ყიდვას შეძლებენ რის შემდეგაც დარჩებათ 2 ლარი. რა ღირს ნაყინი?

- 1) 6 ლარი 2) 7 ლარი 3) 8 ლარი 4) 9 ლარი

27) პირველ ყუთში 20 ბურთი დევს. მეორე ყუთში 2-ჯერ ნაკლები ბურთი დევს, ვიდრე პირველ და მესამე ყუთებში ერთად, ხოლო მესამე ყუთში 3-ჯერ ნაკლები ბურთი დევს, ვიდრე პირველ და მეორე ყუთებში ერთად. რამდენი ბურთი დევს მესამე ყუთში?

- 1) 10 ბურთი 2) 12 ბურთი 3) 13 ბურთი 4) 16 ბურთი

28) გააკეთილს ესწრება 3-ჯერ მეტი გოგონა, ვიდრე ბიჭი. გააკეთილს ავადმყოფობის გამო აცდენს 3 გოგონა და 3 ბიჭი. ამ კლასის მოსწავლეთა სიაში გოგონები ბიჭებზე 2-ჯერ მეტნი არიან. რამდენი მოსწავლეა ამ კლასის მოსწავლეთა სიაში?

- 1) 26 მოსწავლე 2) 22 მოსწავლე 3) 18 მოსწავლე 4) 14 მოსწავლე

29) მართკუთხედის ფორმის მიწის ნაკვეთის სიგრძე 2-ჯერ მეტია სიგანეზე. მას შემდეგ, რაც ამ ნაკვეთის სიგანე გაზარდეს 6 მეტრით, მიიღეს კვადრატული ფორმის მიწის ნაკვეთი. რას უდრის თავდაპირველი მიწის ნაკვეთის პერიმეტრი?

- 1) 48 მ 2) 36 მ 3) 18 სმ 4) ამის გაგება შეუძლებელია

30) ეზოში ორი ავზია: დიდი და პატარა. დიდ ავზში წყალი ოთხი მილით ჩაედინება. ოთხივე მილიდან წყალი ერთნაირად მოდის. იმ დროში, რა დროშიც ოთხმა მილმა დიდი ავზის ნახევარი გაავსო, ორი მილი მთლიანად გაავსებდა პატარა ავზს. რამდენჯერ პატარა მოცულობისაა პატარა ავზი დიდთან შედარებით?

- 1) ორჯერ 2) სამჯერ 3) ოთხჯერ 4) რვაჯერ

31) A ქალაქიდან B ქალაქისკენ გავიდა ავტობუსი. 40 წუთის შემდეგ, როდესაც მას მთელი გზის $\frac{1}{4}$ კქონდა გავლილი, B ქალაქიდან A ქალაქისკენ გავიდა ავტომანქანა. იგი 2-ჯერ სწრაფად მოძრაობდა, ვიდრე ავტობუსი. ავტომანქანის მოძრაობის დაწყებიდან რამდენ წუთში შეხვდება ავტომანქანა ავტობუსს? (იგულისხმება, რომ მათი სიჩქარეები უცვლელია)

- 1) 40 წუთში 2) 80 წუთში 3) 60 წუთში 4) 100 წუთში

32) ზურას, მიშას, ირაკლის და სოსოს ერთად 33 საშლელი აქვთ. ირაკლის არ აქვს სოსოზე მეტი საშლელი. მიშას 5-ით მეტი საშლელი აქვს, ვიდრე ზურას. ზურას და სოსოს ერთნაირი რაოდენობით საშლელი აქვთ. რამდენი საშლელი აქვს მიშას, თუ სოსოს არ აქვს ირაკლიზე მეტი?

- 1) 11 2) 12 3) 13 4) 14